

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია  
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის  
2015 წლის 31 აგვისტოს N 04-39 ბრძანებით  
დანართი N°6

**სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი**



**პროფესიული პროგრამა: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი**

**პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ჩალაური**

**საკონტაქტო ინფორმაცია: მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი**

**მცხეთა 2015**

**I. სახელწოდება:** სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

**II. სარეგისტრაციო ნომერი:** 07201

**III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე

**IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**V. საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი

**VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოში, მოდის ატელიეებში დარგის სპეციალისტად.

**VIII. პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტანსაცმლის კერვას. კერვისათვის საჭირო ესკიზის შექმნას, მასალების ხელსაწყოების საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი მოწყობილობების შერჩევა/გამოყენებას, ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ დამუშავებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

**IX. სწავლის შედეგები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- სხვადასხვა ტანსაცმლის ესკიზის შექმნა
- ქალის კაბის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
- მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება
- ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება

**X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 90 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 16 სასწავლო თვე

**XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები			სავალდებულო პროფესიული მოდულები			არჩევითი პროფესიული მოდულები		
#	დასახელება	კრედიტი	#	დასახელება	კრედიტი	#	დასახელება	კრედიტი
1	კომუნიკაცია	2	7	გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	2	2 6	საწოლისა და სუფრის თეთრეულის დამზადება	4
2	რადენობრივი ნიგნიერება	2	8	საწარმოო პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	8	2 7	სამოსის აქსესუარების კერვა	4
3	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	9	პრაქტიკული პროექტი-სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	5	2 8	ნაღდი ანგარიშწორების ოპერაციები	4
4	მენარმეობა	4	10	სამკერვალო ნაწარმის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ფურნიტურა	2	2 9	კონფლიქტური სიტუაციების მართვა	3

5	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	11	სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი მოწყობილობები	2			
6	უცხოური ენა	4	12	ტანსაცმლის დეტალების შეერთების მეთოდები	2			
			13	სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის ძირითადი კვანძების ტექნოლოგიური დამუშავება	3			
			14	მოსამზადებელ და საგამომტრელო უბნებზე ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა	2			
			15	ტანსაცმლის სხვადასხვა მოდელის ესკიზის შექმნა	4			
			16	ქალის სათავიანი ნაწარმის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება (ქვედა-კაბა, შარვალი)	3			
			17	ქალის მსუბუქი კაბის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური დამუშავება	3			

			18	ქალის ჟაკეტის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3			
			19	ქალის კოფტის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3			
			20	მამაკაცის ზედა პერანგის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3			
			21	მამაკაცის შარვლის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3			
			22	მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	5			
			23	ბავშვის კაბის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	2			
			24	ბავშვის შარვლისა და კომბინიზონის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	2			
			25	ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ- ტექნოლოგიური დამუშავება	3			
	<b>სულ:</b>	<b>15</b>		<b>სულ:</b>	<b>60</b>		<b>სულ:</b>	<b>15</b>

## **XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

## **XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ ილია წინამძღვრილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15 კრედიტი.

დანართი 1-სასწავლო გეგმა

დანართი 2- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3- 31 მოდულები